კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	Bachelor's Program in Psychology
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი	
ქართულად:	ფსიქოლოგიის ბაკალავრი (0313)
ინგლისურად:	Bachelor of Psychology (0313)
პროგრამის დამტკიცების თარიღი	დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ 2012 წლის 20 ნოემბრის №01/01-33 ბრძანებით.
პროგრამის განახლების თარიღი	განახლებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2013 წლის 27 აპრილის ბრძანებით 01/01-13, 2013 წლის 18 სექტემბრის #07/01-02 ბრძანებით, 2013 წლის 25 ოქტომბრის ბრძანებით #01/01-27, 2014 წლის 30 დეკემბრის ბრძანებით #01/01-104, 2015 წლის 31 ივლისის ბრძანებით #01/01-20. 2016 წლის 17 თებერვლის ბრძანებით #01/01-04, 2016 წლის 3 სექტემბრის ბრძანებით #01/01-34, 2017 წლის 17 თებერვლის ბრძანებით #01/01-03, 2017 წლის 3 მაისის ბრძანებით №01/01-15. 2020 წლის 21 აპრილის ბრძანებით N01/01-32; 2021 წლის 30 ივლისის N01/01-56 ბრძანებით; 2024 წ. 31 ივლისის N01/01-50 ბრძანებით, 2026 წლის 18 თებერვლის, N01/01-18 ბრძანებით.
პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი	ფსიქოლოგიის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი მაია მაჭავარიანი-წერეთელი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სტუდენტებისთვის 4 წელს შეადგენს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 19 სასწავლო კვირას, შესაბამისად, სასწავლო წელი დაგეგმილია 38 კვირაზე. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ საათებს).

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, საიდანაც:

- 150 კრედიტი ეთმობა ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებს:
  - 120 ECTS კრედიტი ეთმობა სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს;
  - 30 ECTS კრედიტი ეთმობა სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს;
- 60 ECTS კრედიტი ეთმობა თავისუფალი კომპონენტს:
  - 30 ECTS კრედიტი ეთმობა ზოგადსაუნივერსიტეტო საგნებს (სავალდებულო);
  - 20 ECTS კრედიტი ეთმობა ზოგად ინგლისურ ენას (სავალდებულო);

- 10 ECTS კრედიტი ეთმობა პროფესიულ ინგლისურს (სავალდებულო);
- 30 ECTS კრედიტი ეთმობა თავისუფალ კრედიტებს, რომლებიც სტუდენტს შეუძლია აითვისოს მეორე უცხო ენის ან სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების ან კავკასიის უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო სასწავლო კურსების ხარჯზე.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს.
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენად მოითხოვება ინგლისური ენის ჩაბარება.
- პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამის მიზანი	ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი თანამედროვე დარგობრივი ცოდნისა და ტრანსფერული უნარების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას. შესაბამისად, პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტის მიერ საბაზო თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის დაუფლებას ფსიქოლოგიის დარგების ძირითად დისციპლინებში და ბაკალავრის შესაბამისი პრაქტიკული და კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას. მოცემულ პროგრამას გააჩნია 3 ძირითადი მიზანი: **პროგრამის პირველი მიზანია** დარგობრივი სასაწავლო კურსების შესწავლის შედეგად, სტუდენტებმა ფსიქოლოგიის სფეროში შეიძინონ მყარი საფუძველი საბაზო ცოდნის სახით და შეძლონ შეძენილი ცოდნის კონცეპტუალიზაცია და გამოყენება, როგორც სხვებთან ინტერაქციის პროცესში, ისე საკუთარ ქცევასთან და სოციუმში საკუთარ როლთან მიმართებაში. **პროგრამის მეორე მიზანია** ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულების, კერძოდ, სოციალური ფსიქოლოგიის, კლინიკური ფსიქოლოგიისა და შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის მიმართულებით ძირითადი ცნებების, პრინციპების, თანამედროვე გამოწვევების შესახებ გარღმავებული ცოდნის შეძენა. **პროგრამის მესამე მიზანია** ფსიქოლოგიის სფეროს საფუძვლიანი შესწავლის შედეგად სტუდენტებისთვის გაუმჯობესებული კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მსჯელობისა და კვლევისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება.
პროგრამის სწავლის შედეგები	პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად სტუდენტებს გამოუმუშავდებათ შემდეგი შედეგები: **სწავლის შედეგი** 1 სტუდენტები ავლენენ ფსიქლოგიის სფეროს სისტემურ და საფუძვლიან ცოდნას. • აღწერენ ფსიქოლოგიის, როგორც სოციალური მეცნიერების, შესწავლის საგანს და ისტორიულ წანამძღვრებს; • განასხვავებენ ფსიქოლოგიის სფეროს ქცევით, ბიოლოგიურ-კოგნიტურ, ჰუმანისტურ, ფსიქოდინამიკურ და სოციოკულტურულ პერსპექტივებს; • ავლენენ ფსიქოლოგიის ცალკეული მიმართულებებისა და გამოყენებითი სფეროების როგორიცაა, ქცევის ბიოლოგიური საფუძვლები, კლინიკური ფსიქოლოგია, კონსულტირება, სოაციალური და კულტურული, ორგანიზაციული და ადამიანური რესურსების სისტემურ ცოდნას; • აჯამებენ და იყენებენ ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულების, მათ შორის, კლინიკური, სოციალური და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის

	კვლევის შედეგებს. **სწავლის შედეგი 2** კვლევის თანამედროვე საშუალებებისა და მიდგომების გამოყენებით, სტუდენტები ატარებენ კვლევას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. • გამოყოფენ ფსიქოლოგიური კვლევის ძირითად ეტაპებს, მათ შორის, ჰიპოთეზის ფორმულირების, შემოწმების, სტატისტიკური დამუშავებისა და შეზღუდვების გათვალისწინების საფეხურებს; • იყენებენ აღწერით და დასკვნით სტატისტიკურ მიდგომებს მონაცემთა რაოდენობრივი დამუშავების მიზნით; • იყენებენ კვლევისათვის აუცილებელი მსჯელობისა და სტატისტიკური ანალიზის სტრატეგიებს; • ახდენენ საკვლევი საკითხების სათანადოდ ფორმულირებას, კვლევის შესაბამისი მეთოდების შერჩევას, ასევე შესაბამისი ლიტერატურის მოძიებასა და შეჯამებას. **სწავლის შედეგი 3** სტუდენტები იყენებენ მოცემული სფეროს ფუნდამენტური ეთიკური პრინციპებისა და პასუხიმგებლობის შესახებ ცოდნას. • განასხვავებენ ინფორმაციის გამოყენების ეთიკურ და არაეთიკურ საშუალებებს; • განსაზღვრავენ და იყენებენ ძირითად ეთიკურ პრინციპებს, როგორიცაა ჰუმანურობა, კონფიდენციალობა, ტოლერანტობა, სხვათა უფლებების დაცვა და პროფესიული კეთილსინდისიერება; • ითვალისწინებენ ფსიქოლოგიური ეთიკის სტანდარტებს კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, განხორციელებისა და მონაცემების გაზიარების პროცესში; • მონაწილეობენ ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდასა და დამკვიდრების პროცესებში. **სწავლის შედეგი 4** სტუდენტები ავლენენ კრიტიკული აზროვნების, ამოცანის გადაწყვეტისა და ეფექტური გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს. • აანალიზებენ და იყენებენ შესაბამის ინფორმაციას (ინტერნეტის წყაროებიდან, საბიბლიოთეკო წყაროებიდან) ამოცანების გადაწყვეტის მიზნით; • ანალიზის საფუძველზე, გამოყოფენ და გადაამუშავებენ ამოცანების ან პრობლემების გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას; • იყენებენ რთული ამოცანების გადაჭრის ახლებურ და ორიგინალურ მეთოდებს; • კრიტიკულად აანალიზებენ ფსიქოლოგიური საკითხების შესახებ ინფორმაციას და აყალიბებენ სათანადო დასკვნებს. **სწავლის შედეგი 5** კვალიფიკაციის ამაღლებისა და ცოდნის გაღრმავების მიზნით, სტუდენტები ავლენენ სწავლის გასაგრძელებლად საკმარის თეორიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. • ავლენენ პროფესიული და სამეცნიერო წერითი და ვერბალური ეფექტური კომუნიკაციის უნარებს; • აყალიბებენ იდეებს და ახორციელებენ პროექტებს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; • გეგმავენ და ახორციელებენ შესაბამის აქტივობებს სამუშაო ჯგუფის სხვა წევრების მოსაზრებებისა და კომპეტენციების გათვალისწინებით; • ადეკვატურად აფასებენ სწავლის გაგრძელების საკუთარ შესაძლებლობებს და შეიმუშავებენ შესაბამის გეგმას.
დასაქმების სფეროები	ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა სტუდენტს საშუალებას აძლევს პროგრამის დასრულებამდე დაიწყოს ზრუნვა პროფესიულ კარიერაზე, ჩაერთოს სტაჟირების პროგრამებში.

	ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმდეს განათლების, ჯანდაცვის, მართვის, წარმოებისა და ბიზნესის, მოსახლეობის სოციალური დახმარების სფეროში და სხვ. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს კვლევითი ორგანიზაციები, საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრები; ტრენინგის ცენტრები; ბავშვთა და მოზრდილთა სტაციონარი; ბავშვთა და მოზრდილთა პოლიკლინიკა, ბავშვთა და მოზრდილთა სარეაბილიტაციო ცენტრები; ბავშვთა და მოზრდილთა საკონსულტაციო ცენტრები; სპეციალიზებული საბავშვო დაწესებულებები (საბავშვო ბაღი და სკოლა), სარეკლამო და PR ინდუსტრია, საკონსულტაციო დიაგნოსტიკური ცენტრები, კერძო პრაქტიკა და ა.შ.
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო პროგრამაზე კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მიღწეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტიანი და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა, გამჭვირვალობა.

სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 70 ქულას. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%.

სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი

გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.
საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის ან შეფასების რომელიმე ფორმაში (შუალედური/დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 ქულა.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები	

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლება ითვალისწინებს მთელი რიგი მეთოდების გამოყენებას:

1. დისკუსია/დებატები – ინტერაქციური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი, რომელიც მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს;
2. წიგნზე მუშაობის მეთოდი;
3. წერითი მუშაობის მეთოდი;
4. ლაბორატორიული მეთოდი და დემონსტრირების მეთოდი – ვიდეომასალების ჩვენება, დინამიკური ხასიათის მასალა და სხვ.;
5. პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას;
6. პრეზენტაცია.

პირობითობისა და კრიტიკული მიდგომის ერთობლიობით, პროგრამას გააჩნია შემოქმედებითი და კრიტიკული პოზიციების კოორდინირების სტატუსი. მოძრავი გამოსახულებისა და მისგან წამოსული ინფორმაციის კომბინირების ხერხები და საშუალებები სწავლების ის ალტერნატივაა, რომელიც ასეთ კომბინაციას მსოფლიოში აპრობირებულ ტრადიციებსაც უახლოებს და სწავლების ნოვაციას ქმნის.

პროგრამის სხვა რესურსები	

კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა თანამშრომლობს მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებთან, დადებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციასთან.

არასამთავრობო ორგანიზაციები:

ფსიქოლოგთა და ფსიქოთერაპევტთა ასოციაცია;
კავკასიის გეშტალტთერაპიისა და ოჯახური ფსიქოთერაპიის ინსტიტუტი;
საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოება;
"პიარ-პოლისი";
"ფსიქოპროექტი";
"ახალგაზრდა ფსიქოლოგთა ასოციაცია";
კვლევით საკონსულტაციო კომპანია „ეი-სი-თი“ (ACT);
საკონსულტაციო ფირმა „მედლერნერი“.

სხვადასხვა ორგანიზაციები: პროგრამის პარტნიორ-ორგანიზაციებს წარმოადგენენ: თბილისის საჯარო და კერძო სკოლები. კავკასიის უნივერსტეტს გაფორმებული აქვს თბილისის 34 საჯარო და კერძო სკოლასთან თანამშრომლობის მემორანდუმი;
კავკასიის უნივერსიტეტი თანამშრომლომლობს სამედიცინო კლინიკებთან: "წმინდა ანა და იოაკიმეს სახელობის საქართველოს საპატრიარქოს კლინიკასთან", "დავით ტატიშვილის სამკურნალო კლინიკასთან", ა(ა)იპ ბავშვთა ჰოსპისი, ა(ა)იპ კამარა, სს სამედიცინო კორპორაცია ევექსი - ი.ციციშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკა.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის (სულ **20 605** ერთეული ბეჭდური

და **10877** ერთეული ელექტრონული რესურსი). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური 1 ასლგადამღები აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის **2** თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით:

- EBSCO HOST
- ScienceDirect
- Scopus
- Sci-val Funding(Funding Institutional)
- HeinOnline
- Taylor and Francis
- Math Scientific Publishing (MSP)-Journals"

მატერიალური რესურსები:

კავკასიის უნივერსიტეტმა 2017-2018 სასწავლო წელს საგანმანათლებლო საქმიანობა განაგრძო მის კუთვნილ ახალ შენობაში, რომელიც მდებარეობს თბილისში, პაატა საკაძის N1-ში. შენობის ჯამური ფართი შეადგენს 11.179 კვ.მ.-ს, საიდანაც 5.021 კვ.მ. არის სასწავლო ფართი. აღნიშნული შენობის სარემონტო სამუშაოებსა და ახალი ინვენტარით აღჭურვაში, ასევე, ეზოს გამწვანებასა და მოწყობაში განხორციელდა 12 მლნ ლარის ინვესტიცია. უნივერსიტეტის შენობაში გამოყოფილია შემდეგი სავალდებულო ფართები: 63 აუდიტორია, 170 კვ.მ.-მდე ფოიე, საკონფერენციო დარბაზი, სარეკრეაციო სივრცეები, ადმინისტრაციული სივრცეები, და სათავსოები, სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის, სანიტარული კვანძები, ბიბლიოთეკა (265 კვ.მ.), ლაბორატორიები, არქივი, 2 კაფეტერია (380 კვ.მ.). აღნიშნული უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას. კავკასიის ბიზნესის სკოლას დამატებით აქვს სტარტაპ აქსელერატორისთვის გამოყოფილი ოთხები, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე აღჭურვილობებით, როგორიცაა: VR ტექნოლოგია, სამონტაჟო მოწყობილობები, „Smart board“ და სხვა.

უნივერსიტეტს აქვს ელექტროენერგიის მიწოდების ეფექტური სისტემა, შენონაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წლით და სათანადოდ მოწესრიგებულია. სანიტარულ კვანძებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და უზრუნველყოფილია მუდმივი განათებითა და ვენტილაციით. კავკასიის უნივერსტეტის ტერიტორია ადაპტირებულია შშმ პირებისთვის (პანდუსები, ლიფტები და სხვა). ყველა სასწავლო ოთახს აქვს როგორც ბუნებრივი, ასევე, ხელოვნური განათების შესაძლებლობა. დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა, უნივერსიტეტის ტერიტორიას იცავს დაცვის სამსახური "მაგისტრი", შიდა და გარე პერიმეტრზე უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟებულია ვიდეოკამერები. შემუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოებისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - არსებობს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ლაბორატორია და კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. კომპიუტერები უზრუნველყოფილია შესაბამის პროგრამული ინსტრუმენტებით/აპლიკაციებით. აუდიტორიები და კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფილია ლოკალური ქსელით და ინტერნეტით.

სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათებო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაცის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

კავკასიის უნივერსიტეტი სადღეისოდ აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული საშუალებებით, ასლგადამღები აპარატურით (რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის განახლება მოხდა 2018 წელს). ამჟამად უნივერსიტეტში A , B და C სართულებზე გაშვებულია შვიდი კომპიუტერული კლასი. ასეთი კლასები პერსონალური კომპიუტერით და მულტიმედია პროექტორებით არის დაკომპელქტებული. ასეთი პროექტორებით და კომპიუტერებით აღჭურვილია ყველა აუდიტორია და ბიბლიოთეკა. ადმინისტრაცია

და პრაქტიკულად ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია კომპიუტერებით და ინტერნეტთან წვდომით. უნივერსიტეტის საკომპიუტერო პარკი 380 ერთეულზე მეტს შეადგენს. ამას ემატება ორგტექნიკა პრინტერების და სკანერების სახით. რამდენიმე ე.წ. „Smart board", სწრაფქმედი (მაღალი წარმადობის) „კიოსერას" ფირმის ასლგადამღები აპარატები, აგრეთვე ფერადი ასლგადამღბი დანადგარი „HP MFD" - ტიპის. უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია WiFi, ასევე უზრუნველყოფილია სატელეფონო კავშირი IP ტელეფონებით (რისთვისაც შეძენილია 130-ზე მეტი შესაბამისი ტელეფონი). უნივერსიტეტის სასერვეროში მოქმედებს ხუთი ერთეული თანამედროვე სერვერი, ხოლო მის ტერიტორიაზე დამონტაჟებულია შესაბამისი ქსელური აპარატურა („Cisco"-ს და "Aruba/HP"-ის სვიჩებით, Fortinet-ის NG Firewall-ით, wireless controller და access point-ებით, და ა.შ.), სულ 100-ზე მეტი ამგვარი მოწყობილობით. უნივერსიტეტი ჩართულია გარე ქსელში და აქვს ინტერნეტთან წვდომა 150/150 Mbps ლოკალისა და გლობალ კავშირებზე.

აღნიშნული რესურსი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია ხსენებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	

პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს სტუდენტებისგან მისაღებ შემოსავალს და სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა ხარჯს. ფინანსური გათვლები ეყრდნობა პროგრამის მიხედვით აღებულ შემდეგ მონაცემებს:

- სწავლებისთვის საჭირო საკონტაქტო საათებს,
- სასწავლო კურსების რაოდენობას (ჩაშლილად სავალდებულო, არჩევითი, უცხო ენა),
- სალექციო საათების ანაზღაურებას,
- სწავლების პროცესში სტუდენტის მატერიალურ მხარდაჭერას,
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხარჯს,
- პროგრამის განვითარება/აკრედიტაცია/ინტერნაციონალიზაციის ხარჯს,
- პროგრამის მანძილზე დასაშვებ გაუთვალისწინებელი ხარჯს.

ასევე, პროგრამის ბიუჯეტში თანხობრივად გათვალისწინებულია „უნივერსიტეტის სარეზერვო „ფონდი", რომელიც ემსახურება სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის არსებობის შემთხვევაში, პროგრამის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის ყველა ხარჯის დაფარვას. პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში ხორციელდება ცვლილების შესაბამისად პროგრამის ბიუჯეტის კორექტირება.

პროგრამის ბიუჯეტი მტკიცდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ, რაც დასტურდება ბრძანებით, რომელსაც დანართად ერთვის პროგრამის ბიუჯეტის კალკულაცია.

საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა
(მოდულების, სასწავლო კურსების, შესაბამისი კრედიტების მითითებით)

№	სასწავლო კურსის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი
				I		II		III		IV		
				ECTS კრედიტი								
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
თავისუფალი კომპონენტი												
			ზოგადსაუნივერსიტეტო სასწავლო კურსები (სავალდებულო)	**15**	**15**							**30**
1.	ACWR 0007	არ აქვს	აკადემიური წერა	5								
2.	CSC 1160	არ აქვს	საინფორმაციო ტექნოლოგიები	5								
3.	HIST 0003	არ აქვს	საქართველოს ისტორია	5								
4.	PHIL 1260	არ აქვს	თანამედროვე აზროვნების საფუძვლები		5							
5.	GEO 0005	არ აქვს	სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი		5							
6.	WREL 1260	არ აქვს	მსოფლიო რელიგიების ისტორია		5							
			ზოგადი ინგლისური (სავალდებულო)	**5**	**5**	**5**	**5**					**20**
1.	ENGL 0005/ ENGL 0007	არ გააჩნია	B1.0 ზოგადი ინგლისური/ B2.0 ზოგადი ინგლისური	5								5
2.	ENGL 0006/ ENGL 0008	ENGL 0005/ ENGL 0007	B1 ზოგადი ინგლისური/ B2 ზოგადი ინგლისური		5							5
3.	ENGL 0007/ ENGL 0009	ENGL 0006/ ENGL 0008	B2.0 ზოგადი ინგლისური/ C 1.0 ზოგადი ინგლისური			5						5
4.	ENGL 0008/ ENGL 0010	ENGL 0007/ ENGL 0009	B2 ზოგადი ინგლისური/ C 1 ზოგადი ინგლისური				5					5
			პროფესიული ინგლისური (სავალდებულო)					**5**	**5**			**10**

№	სასწავლო კურსის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი
				I		II		III		IV		
				ECTS კრედიტი								
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
5.	ENGS 0160	ENGL 0008	PT 1 პროფესიული სამიზნე ენა (სოციალური მეცნიერებები)					5				5
6.	ENGS 0260	ENGS 0160	PT 2 პროფესიული სამიზნე ენა (სოციალური მეცნიერებები)						5			5
			მეორე უცხო ენა (არჩევითი)*					**5**	**5**	**5**	**5**	**20**
7.	FREN/GERM/ESP / ITA 0001	არ გააჩნია	მეორე უცხო ენა A1.0					5				**5**
8.	FREN/GERM/ESP/ITA 0002	FREN/GERM/ESP/ITA 0001	მეორე უცხო ენა A1						5			**5**
9.	FREN/GERM/ESP/ITA 0003	FREN/GERM/ESP/ITA 0002	მეორე უცხო ენა A2.0							5		**5**
10.	FREN/GERM/ESP/ITA 0004	FREN/GERM/ESP/ITA 0003	მეორე უცხო ენა A2								5	**5**
			თავისუფალი კრედიტი (არჩევითი)					5	5	**5**	**5**	**20**
11.	FREE 0001	არ აქვს	თავისუფალი კრედიტი 1					5				5
12.	FREE 0002	არ აქვს	თავისუფალი კრედიტი 2						5			5
13.	FREE 0003	არ აქვს	თავისუფალი კრედიტი 3							5		5
14.	FREE 0004	არ აქვს	თავისუფალი კრედიტი 4								5	5
ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი												
			პროფესიული სასწავლო კურსები (სავალდებულო)	**10**	**10**	**25**	**25**	**15**	**15**	**10**	**10**	**120**

№	სასწავლო კურსის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი
				I		II		III		IV		
				ECTS კრედიტი								
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
1.	PSYC 1160	არ აქვს	ფსიქოლოგიის საფუძვლები 1	5								5
2.	PSYC 1163	არ აქვს	შესავალი ნეირომეცნიერებაში 1	5								5
3.	PSYC 1260	PSYC 1160	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2		5							5
4.	PSYC 1265	PSYC 1163	შესავალი ნეირომეცნიერებაში 2		5							5
5.	PSYC 2161	არ აქვს	ფსიქოლოგიის ისტორია			5						5
6.	PSYC 2164	არ აქვს	საზოგადოებასთან ურთიერთობა			5						5
7.	PSYC 2165	PSYC 1260	განვითარების ფსიქოლოგია			5						5
8.	PSYC 2167	PSYC 1260 PSYC 1265	კოგნიტური ფსიქოლოგია 1			5						5
9.	PSYC 2169	PSYC 1260 PSYC 1265	კლინიკური ფსიქოლოგიის შესავალი			5						5
10.	PSYC 2260	PSYC 1260 PSYC 2161	ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობები				5					5
11.	PSYC 2261	PSYC 1260	პიროვნების ფსიქოლოგია				5					
12.	PSYC 2264	PSYC 2167	კოგნიტური ფსიქოლოგია 2				5					5
13.	PSYC 2265	PSYC 1260	ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები 1				5					5
14.	PSYC 2266	PSYC 1260 PSYC 2165	განათლების ფსიქოლოგია				5					5
15.	PSYC 3162	PSYC 1260	სოციალური ფსიქოლოგია					5				5
16.	PSYC 3163	PSYC 2265	ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები 2					5				5
17.	PSYC 3166	PSYC 2261 PSYC 2169	პათოფსიქოლოგია					5				5
18.	SPSS 3262	PSYC 3163	კვლევის მონაცემების დამუშავება (კომპიუტერული პროგრამა (SPSS-თ)						5			5
19.	PSYC 3267	PSYC 1265	ნეიროფსიქოლოგიის საფუძვლები						5			5

№	სასწავლო კურსის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი
				I		II		III		IV		
				ECTS კრედიტი								
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
		PSYC 2264										
20.	PSYC 3266	PSYC 2261 PSYC 3163	ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები						5			5
21.	PSYC 4161	PSYC 1260 PSYC 2267	შესავალი ფსიქოლოგიურ კონსულტირებასა და ფსიქოთერაპიაში							5		5
22.	SPSS 4160	SPSS 3260	კვლევის მონაცემების დამუშავება მრავალგანზომილებიანი მეთოდებით (კომპიუტერული პროგრამა (SPSS-თ)							5		5
23.	THES 4260	ACWR 1160 PSYC 3163 SPSS 4160	საბაკალავრო ნაშრომი								10	10
			პროფესიული სასწავლო კურსები (არჩევითი)					**10**	**10**	**20**	**20**	**60**
1.	EPSY 3162	PSYC 1260	გენდერის ფსიქოლოგია					5				5
2.	EPSY 3163	PSYC 1260	ხელოვნების ფსიქოლოგია					5				5
3.	EPSY 3164	PSYC 1260	სპორტის ფსიქოლოგია					5				5
4.	EPSY 3167	PSYC 2169	ჯანმრთელობის ფსიქოლოგია					5				5
5.	EPSY 3260	არ აქვს	ფსიქოლინგვისტიკის საფუძვლები						5			5
6.	EPSY 3263	PSYC 1260	განწყობის ფსიქოლოგია						5			5
7.	EPSY 3265	PSYC 1260	იურიდიული ფსიქოლოგია						5			5
8.	EPSY 3266	არ აქვს	ზოგადი პათოლოგიის საფუძვლები						5			5
9.	ABA 3260	PSYC 2165	ქცევის გამოყენებითი ანალიზი						5			5
			მოდული - კლინიკური ფსიქოლოგია (არჩევითი)									
1.	CPSY 4165	PSYC 2169	შესავალი ფსიქოსომატიკაში							5		5
2.	CPSY 4161	PSYC 1265	კლინიკური ფსიქიატრიის საფუძვლები							5		5

№	სასწავლო კურსის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი
				I		II		III		IV		
				ECTS კრედიტი								
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
3.	CPSY 4166	PSYC 1265	შესავალი სექსოლოგიაში							5		5
4.	CPSY 4163	PSYC 2165	ბავშვთა და მოზარდთა პათოფსიქოლოგია							5		5
5.	CPSY 4164	PSYC 2261	შესავალი ლოგოთერაპიასა და ეგზისტენციალურ ანალიზში							5		5
6.	CPSY 4266	PSYC 2261	ეგზისტენციალური ფსიქოლოგია								5	5
7.	CPSY 4261	PSYC 2169 PSYC 4161	ფსიქოსინთეზი								5	5
8.	CPSY 4262	PSYC 2169 PSYC 4161	გეშტალტთერაპია								5	5
9.	CPSY 4265	PSYC 2169 PSYC 4161	ფსიქოლოგიური კონსულტირების პრაქტიკუმი								5	5
10.	CPSY 4267	PSYC 2261	პიროვნების ზრდისკენ მიმართული ფსიქოკონსულტირების საფუძვლები								5	
			მოდული - ადამიანური რესურსების მართვის ფსიქოლოგია (არჩევითი)									
1.	MPSY 4167	არ აქვს	ადამიანური რესურსების მართვა							5		5
2.	MPSY 4161	PSYC 1260	ორგანიზაციული ფსიქოლოგია							5		5
3.	MPSY 4162	არ აქვს	პროექტის დაგეგმვა და მართვა							5		5
4.	MPSY 4263	PSYC 1260	ადამიანის ფაქტორის ფსიქოლოგია								5	
5.	MPSY 4264	PSYC 1260	პერსონალის შერჩევა								5	5
6.	MPSY 4265	არ აქვს	სოციალურ-ფსიქოლოგიური ტერნინგის მართვის ტექნოლოგია								5	
			მოდული - გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია (არჩევითი)									
1.	SPSY 4162	PSYC 3162	პიროვნება და სოციალური ქცევა							5		5

№	სასწავლო კურსის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი
				I		II		III		IV		
				ECTS კრედიტი								
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
2.	SPSY 4165	PSYC 3162	ცრუ რწმენები და სტიგმა							5		5
3.	SPSY 4166	PSYC 3162	ინტერპერსონალური ურთიერთობები							5		5
4.	SPSY 4261	PSYC 3162	ლიდერობის ფსიქოლოგია								5	5
5.	SPSY 4263	არ აქვს	გარემოს და დიზაინის ფსიქოლოგია								5	5
6.	SPSY 4265	არ აქვს	ეთნოფსიქოლოგია								5	5
			სემესტრი	30	30	30	30	30	30	30	30	
			წელი	60		60		60		60		
				10		10		10		10		

შენიშვნა: